ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# ო ქ მ ი № 6

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სხდომისა

18 მაისი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-IV მოწვევის საკრებულოს

წევრთა სარეგისტრაციო ს ი ა

*18 მაისი, 2021 წელი.*

*სხდომა N 6*

*10⁰⁰ საათი*

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი -
5. ბადრი შენგელია -
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. რაჟდენ ტორონჯაძე -
10. ვაჟა სტურუა -
11. ზაზა ადეიშვილი -
12. კოტე ნაცვლიშვილი -
13. დავით ამაღლობელი -
14. გრიგოლ ჩიგოგიძე -
15. ხვიჩა ფანცულაია -
16. ტარიელ თევზაძე -
17. ილია მჟავია -
18. ვახტანგ დუნდუა -
19. ვაჟა კოხრეიძე -
20. გოჩა არველაძე -
21. ზაია იმესაშვილი -
22. ავთანდილ ტორონჯაძე -
23. ლიზა კრავეიშვილი -
24. ნონა გოგისვანიძე -
25. გრიგოლ დარჯანია -
26. ემზარ შუბლაძე -
27. მამუკა ზიზილეიშვილი -
28. ავთანდილ თადუმაძე -
29. დავით წიკოლეიშვილი -
30. ავთანდილ სტურუა -
31. ალექსანდრე ჯვარშეიშვილი -
32. კამო კანდელაკი -
33. აკაკი მინაშვილი. -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი N 6

ქ. სამტრედია.                                                    18 მაისი,   2021 წელი.

2021 წლის 18 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

*სხდომას ესწრებოდნენ:* ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ემზარ შუბლაძე, მამუკა ბიბილეიშვილი, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), ალექსანდრე ჯვარშეიშვილი, კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა. საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი. შესყიდვების განყოფილების უფროსი, ირინა ფოცხვერია.
4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.
5. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.
7. სამტრედიის ტელე-რადიო კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი და ავთანდილ სტურუა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

2. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

   /მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

3. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

   /მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები"-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

7. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

   /მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დ.ბაღდავაძე/

8. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ , 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია./

9. სხვადასხვა

*დაადგინეს:* კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შეახსენა, რეგლამენენტის შესახებ. აღნიშნა, რომ „რა თქმა უნდა ყველა თქვენთაგანს აქვს უფლება კითხვების დასმის, მაგრამ როგორც ვთანხმდებით ყოველთვის, ეს უნდა იყოს სრულფასოვანი კითხვა და დამაჯერებელი პასუხი. დისკუსიაც მისაღები იქნება ნებისმიერი საკითხის ირგვლივ.

საკრებულოსა და მერიის ურთიერთ თანამშრომლობის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ დღეს საკრებულოს წინაშე, ანგარიშით წარსდგებიან მერიის საფინანსო საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელები, რომლებიც გაგვაცნობენ 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციას.

დღეს სტუმრად იმყოფება და საკრებულოს სხდომას ესწრება მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე. იმედია ჩვენი ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდება და ეს კარგი ტრადიცია იქნება მე-5 მოწვევის საკრებულოსათვის. საქმიანი, სიყვარულით, კეთილად, გულწრფელად ხვა-ბაასის შემდგომ, ერთობლივად შევძლებთ ნებისმიერი პრობლემების მოგვარებას, რომელიც მუნიციპალიტეტის წინაშე დადგება".

*დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2269, 20/04/2021 წ. წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომუნალური გაერთიანება"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.40 ათ.ლარით, ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯის მუხლში 0.18 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება თანხა კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯის მუხლში 0.40 ათასი ლარით, აუდიტორული მომსახურეობის ხარჯის მუხლში 0.18 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

*აზრი გამოთქვეს:* მამუკა ხიზილეიშვილმა, ემზარ შუბლაძემ და აკაკი მინაშვილმა.

გამომსვლელები დაინტერესდნენ ვეკუას ქუჩაზე განათების სისტემის მოწყობისა და არხის გაწმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით. აღნიშნეს, რომ ,,მოსახლეობას შემოტანილი აქვთ შესაბამისი განცხადება, რომლითაც ითხოვენ განათების მოწესრიგებას და კიდევ უფრო დიდი პრობლემის, სანიაღვრე არხის გაწმენდითი სამუშაობის შესრულებას. ვინაიდან ნებისმიერი ნალექის შემთხვევაში იტბორება ადგილობრივი მოსახლეობა და საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას. ეს ქუჩა დაახლოებით 800 მეტრი სიგრძისაა, ცალ მხარეს არის მოსახლეობა, მეორე მხარეს რკინიგზა. ეხლა დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი და ქუჩა კიდევ უფრო ამაღლდა, შესაბამისად დატბორვის საშიშროება კიდევ უფრო იზრდება. გზის დაგებამდე რატომ არ მოხერხდა არხის გაჭრა და ამოწმენდა?''

კობა ბიბილეიშვილმა უპასუხა, რომ ვეკუას ქუჩაზე საერთოდ არ არის განათების სისტემა მოწყობილი და ჩვენი სამსახური უზრუნველყოფს მხოლოდ დაზიანებული ნათურების გამოცვლას. ეს საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ვასრულებთ მხოლოდ სარემონტო სამუშაოს.

ზურაბ გოგია - ეს გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაიწყო გზის მშნებლობა, ამიტომ იქნა ეს სამუშაოები შეჩერებული. მივწერეთ ჩვენ მშენებელ კომპანიას, საპროექტოს, შესწავლილი უნდა ყოფილიყო ეს საკითხი და დამატებით წარმოდგენილი იქნება იმ არხის სარემონტო სამუშაოები, მაგრამ არა ბეტონის არამედ გაწმენდითი სამუშაოები. ეს ჩადებული იქნება პირდაპირ ხარჯთაღრიცხვაში, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე, უშუალოდ არხთან დაკავშირებით.

ნუგზარ ჯამბურია - საკითხი გამოიკვეთა. ვეკუას ქუჩაზე საერთოდ არ არის განათება და დაისვა საკითხი, როგორც განათების ასევე სანიაღვრე არხის შეკეთების. ვფიქრობ რომ საკითხი სრულფასოვნად იყო გაანალიზებული, პასუხი მიღებულია, სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

*დაადგინეს:* კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

*დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1895, 5/04 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მარტის თვის შემოსავალმა შეადგინა 3134,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 47,0 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2048,2 ათასი ლარი, რაც მარტის თვის გეგმის 74,1 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 1944,3 ათასი ლარი , გეგმა შესრულდა 79,2 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 37,2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 22,1%-ით.

მიზნობრიეი ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სამ თვეში მიღებული იქნა 47,4 ათასი ლარი.

*აზრი გამოთქვა:* მამუკა ბიბილეიშვილმა.

მამუკა ბიბილეიშვილი - მივესალმები და ძალიან კარგია, როდესაც საკრებულოს სხდომას ესწრება მერის წარმომადგენელი, კერძო შემთხვევაში ბატონი დავით ბახტაძე.

ნუგზარ ჯამბურიამ შეახსენა მამუკა ბიბილეიშვილს, რომ მსგვასი შეხვედრები არა ერთი ყოფილა საკრებულოში. სხვადასხვა დროს სხდომას ესწრებოდნენ, როგორც მუნიციპალიტეტის მერი, ასევე მისი მოადგილეები და ეს არ იყო პირველი და ერთადერთი შემთხეევა, როდესაც იყო საჭირო ისინი ყოველთვის საკრებულოს გვერდით არიან.

მამუკა ბიბილეიშვილი - რაც შეეხება საკითხს, მინდა ერთი შეკითხვა დავსვა. რომელსაც ბიუჯეტის შესრულების განხილვის დროს არა ერთხელ ვსვავდი კომისიისა და საკრებულოს სხდომებზე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. ბატონო დავით, ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით ბაზა ხომ არ იცით, ვინ არის ან არიან გადამხდელები? ვინ არის მაგალითად 30,0 ათ ლარის შემომტანი? 1 იანერის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთად დარჩა 3000500 ლარი. აქედან 748000 არის პროექტებიდან გადმოყოლილი, 2753000 არის ბიუჯეტით დარჩენილი ნაშთი. როგორც ვატყობ კიდევ 500000 ლარი არის დარჩენილი გასანაწილებელი. რატომ არ ნაწილდება ეს თანხა, ან გაქვთ ასეთი ვადა რომ მთელი წლის განმავლობაში მოხდეს ნაშთის განაწილება? 2017 წლის აუდიტის დასკვნაში აღნიშნული იყო წლის ბოლოს დარჩენილი ნაშთის თაობაზე. ასევე მაინტერესებს სათამაშო ბიზნესიდან 200000 ლარი რომელი ორგანიზაციიდან შემოვიდა?

მედეა ლეჟავამ უპასუხა - საერთოდ იანვარ- თებერვლის თვეები შემოსავლების მხრივ, როგორც ვიცით ნაკლებად შემოსავლიანი, თითქმის უმოძრაო თვეებია. აქედან გამომდინარე ერთი თვის სახელფასო ფონდი და პლიუს ამას აუცილებელი სამუშაოებისთვის საჭირო თანხები, უნდა იყოს შენარჩუნებული. ეს იყო 726000 ლარი. ეს თანხა იანვარ-თებერვალში შენარჩუნდა, ხოლო შემდეგ წინა ცვლილებებზე კიდევ განაწილდა და ეხლა დარჩენილია 395000 ლარი. ეს თანხა კიდევ გვინდა ორი თვის მანძილზე შენარჩუნდეს ხელფასთან მიმართებაში პრობლემა რომ არ შეგვექმნეს. როდესაც შემოსავლები მივა ზღვრულ ოდენობასთან, მაშინ მოხდება ნაშთის სრულად განაწილება. ეხლა რგფ-იდან ინფრასტრუქტურული პროექტი მატულობს და დაახლოებით თანხა გაიზრდება 157000 ლარით. ჩვენ თანადაფინანსებაში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. რომ არ გვქონდეს აღნიშნული დარჩენილი ნაშთი, როგორ მივიღებდით მონაწილეობას თანადაფინანსების პროცესში? რაც შეეხება ნაშთის ტარებას თვეების მიხედვით, ეს დაშვებულია და საბიუჯეტო პროცესია. როგორც ხედავთ ნაშთი თანდათან იკლებს და დღეის მდგომარეობით 395000 ლარია. წლის დასაწყისში დარჩენილი ნაშთის თაობაზე საბიუჯეტო კოდექსში გარკვევით წერია, რომ ეს არის ნაშთი, რომელიც აუცილებელია საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვისათვის.

დავით ბაღდავაძე - სათამაშო ბიზნესიდან ძირითადი შემომტანი არის ,,ინტერბეთი''.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

*დაადგინეს:* ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

*დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N N 37/2556, 07/05 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის შემოსავალმა შეადგინა 4894,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 66,3 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2869,1 ათასი ლარი, რაც აპრილის თვის გეგმის 92,1 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 2741,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 79,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 44,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 25,4%-ით.

მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ოთხ თვეში მიღებული იქნა 63,2 ათასი ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

*დადგინეს:* ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

*დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს 30,0,2021 წლის NG/70-03/2021 წერილობითი მომართვა- რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს კანონის შესაბამისად, პეტიციის წარდგენისთვის საჭირო ამომრჩეველთა ერთპროცენტიანი ბარიერის 0,5%-მდე შემცირებას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებით დამტკიცებულ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში" შეტანილ იქნეს ცვლილება. შესაბამისად „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის", მუხლი 98-ის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%–ს, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 000–ზე ნაკლებია. (ამ რეგულირების გათვალისწინებით ჩაიწერება კონკრეტული პროცენტი)."

*აზრი გამოთქვა:* მამუკა ბიბილეიშვილმა, ლიზა კრავეიშვილმა.

მამუკა ბიბილეიშვილი - რა იყო მიუღებელი ან რას არ აკმაყოფილებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის 1%-იანი ზღვარი. მე არ გახლავართ იურიდიული კომისიის წევრი და მაინტერესებს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი.

მანანა სირბილაძემ უპასუხა, რომ პეტიციის წარდგენისთვის საჭირო ამომრჩეველთა ერთპროცენტიანი ბარიერის 0.5 პროცენტამდე დაწევა მოქალაქეებს გაუადვილებს მათი ინიციატივებისა და იდეების მუნიციპალიტეტამდე მოტანას და ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის გაზრდას

ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთანავე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო წაკლებ რაოდენობას.

ლიზა კრავეიშვილი - საკითხი განხილულია და შესწავლილია იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიაზე. მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება და ნამდვილად არ არის საკამათო.

საკრებულოს წევრებს შორის კამათი გამოიწვია მამუკა ბიბილეიშვილის რეპლიკამ, საკითხის არასრულყოფილად შესწავლასთან დაკავშირებით. თუმცა საკითხი დადებითად გადაწყდა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

*დაადგინეს:* კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

*/დადგენილება თან ერთვის/*

***დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები"-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ".

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები"-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაია იმესაშვილთან,** 2021 წლის 20 მაისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

*დაადგინეს:* კენჭისყრის შედეგად (32 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები''-ს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

*დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო - საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, შალვა არზუმანიანთან,** 2021 წლის 24 მაისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო - საბიუჯეტო** საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს **საფინანსო საბიუჯეტო** საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, ვაჟა სტურუას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

*დაადგინეს:* კენჭისყრის შედეგად (32 ხმით),დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

*დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით* მომხსენებელმა, დავით ზაღდავაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა **სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, ჯამში 14203,0 ათასი ლარის ოდენობით.**

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტის ოდენობა, კერძოდ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვრა 190,0 ათასი ლარით.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 14013,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები -11846,3 ათასი ლარი.
- სხვა შემოსულობები -2076,7 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 90,0 ათასი ლარი.

დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. 01 00 კოდი - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები - 4,064.2 ათ. ლარი;
2. 02 00 კოდი - ინფრასტრუქტურის განვითარება - 2,005.8 ათ. ლარი;
3. 03 00 კოდი - დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,410.8 ათ. ლარი;
4. 04 00 კოდი - განათლება - 2,668.0 ათ. ლარი;
5. 05 00 კოდი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2,649.8 ათ. ლარი;
6. 06 00 კოდი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,404.4 ათ. ლარი.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში 2021 დამტკიცებულ ბიუჯეტში სამჯერ განხორციელდა ცვლილება, რომელიც განაპირობა როგორც გასული წლის ბოლოს ნაშთად დარჩენილი თანხების განაწილებამ. ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვამ და პრიორიტეტებს შორის თანხის გადანაწილებამ. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის N5 დადგენილების შესაბამისად 21,026.2 ათ. ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები შეადგენს 4,655.1 ათ. ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები - 16,371.1 ათ. ლარს. **სხვაობა შეადგენს სულ 6823.2 ათ.ლარით ზრდას, მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტი 2358.1 ათ.ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტი 4465.1 ათ.ლარი.**

განსაზღვრული პრიორიტეტები კი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

1. 01 00 კოდი - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4,337.9 ათ. ლარი;
2. 02 00 კოდი - ინფრასტრუქტურის განვითარება - 7,387.4 ათ. ლარი;
3. 03 00 კოდი - დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,462.5 ათ. ლარი;
4. 04 00 კოდი - განათლება - 3,085.0 ათ. ლარი;

5. 05 00 კოდი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3,311.8 ათ. ლარი;
6. 06 00 კოდი - ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,441.6 ათ. ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 3924,3 ათასი ლარით.

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 3501,3 ათ.ლარი , საიდანაც 748,2 ათ.ლარი არის 2018-2019-2020 წლების რეგიონული პროექტებიდან გადმოყოლილი შესრულებული სამუშაოების გარანტიისათვის დაკავებული ასევე დაუსრულებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა. ხოლო 2753,1 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით დარჩენილი თანხა. აღნიშნული ნაშთიდან განაწილდა 3088,9 ათასი ლარი.

2021 წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 200.0 ათ.ლარის ოდენობით, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების განწერა კვარტლების მიხედვით შედგენილია და წლის განვალობაში საკრებულოს დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობს კორექტირება. ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება ხდება პერიოდულად კვარტლის შესრულებიდან გამომდინარე.

წლის განვალობაში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული იურდიული პირების ( ააიპ და შპს) მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შესატანად წინადადებების მომზადება და წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად მერიასა და საკრებულოში წარდგენა. წლის განვალობაში განხორციელდა ცვლილებები ააიპ და შპს-ებში რამოდენიმეჯერ.

2021 წლის 21 მარტიდან დაიწყო და მიმდინარეობს მუშაობა მომავალი 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. საჭირო ინფორმაციის შეკრება და დამუშავება ფინანსთა სამინისტროს მიერ მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესაბამისად ხდება მუნიციპალური პროგრამების, საფინანსო გაანგარიშების, შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება. მიმდინარეობს მუშაობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 - 2025 წლების საშუალოვადიანი განვითარების გეგმის, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება. შემოსულ კორესპოდენციებზე პასუხების გაცემა.

## შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის შემოსავალმა შეადგინა 4894.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 66,3 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2869,1 ათასი ლარი, რაც აპრილის თვის გეგმის 92,1 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 2741,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 79,9 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 44,5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 25,4%-ით.

მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ოთხ თვეში მიღებული იქნა 63,2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 1251,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 89.1 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან მიღებულია 594,2 ათასი ლარი, გეგმა 492,1 ათასი ლარი, შესრულება (120,7 %)

შემოსავალი არაფინანსური აქტივიდან ფაქტიურად შემოვიდა - 27,2 ათასი ლარი.

ხოლო, რაც შეეხება 2021 წლის აპრილის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2020 წლის ანალოგიურ პერიოდის ფაქტთან (3560,4 ათასი ლარი), შემოსულია 1333,9 ათასი ლარით მეტი.

**შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია:**

2021 წლის აპრილის თვის **შემოსულობები ათას ლარებში:**

| დასახელება | გეგმა წლიური | გეგმა 4 თვის | ფაქტი 4 თვის | შესრულ ების % |
|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 17847.3 | 7365,6 | 4867,1 | 66,1 |
| საგადასახადო შემოსავლები | 11846.3 | 3115,0 | 2869,1 | 92,1 |
| გრანტები | 3924.3 | 3758,5 | 1403,8 | 37,4 |
| სპეციალური ტრანსფერი | 0 | 0 | 0 | 0 |
| სხვა შემოსავლები | 2076.7 | 492,1 | 594,2 | 120,7 |
| არაფინანსური აქტივები | 90.0 | 20,0 | 27,2 | 136,0 |
| სულ შემოსავლები | 17937.3 | 7385,6 | 4894,3 | 66,3 |

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 5331,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 51,9 %-ია (ოთხი თვის გეგმა - 10275,4 ათასი ლარი)

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

| N | დასახელება | გეგმა წლიური | ფაქტი 4 თვის | % |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ხარჯები | 12434,5 | 3573,0 | 28,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | შრომის ანაზღაურება | 2389,7 | 699,6 | 29,3 |
| 3 | საქონელი და მომსახურება | 1944,7 | 470,9 | 24,2 |
| 4 | სუბსიდია | 6603,1 | 2013,1 | 30,5 |
| 5 | სოციალური უზრუნველყოფა | 972,2 | 341,7 | 35,1 |
| 6 | სხვა ხარჯი | 465,0 | 24,8 | 5,3 |
| 7 | გრანტი | 20,8 | 0 | |
| 8 | პროცენტი | 39,0 | 22,9 | 58,7 |
| 9 | არაფინანსური აქტივი | 8521,5 | 1723,1 | 20,2 |
| 10 | ვალდებულებების კლება | 70,1 | 35,1 | 50,0 |
| | | | | |
| | სულ ჯამი | 21026,1 | 5331,2 | 25,4 |

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის აპრილის თვის მდგომარეობით ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს - 970,3 ათას ლარს.**

1.2 მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის ხარჯი - 34,2 ათასი ლარი.

2. **ეკონომიკის განვითარება - 1243,0 ათასი ლარი.**

მათ შორის:

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - 1238,4 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 0 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 3,2 ათასი ლარი.

2.4 . სოფლის მეურნეობის განვითარება -1,4 ათასი ლარი.

3 . **დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 415,6 ათასი ლარი.**

მათ შორის:

3.1. დასუფთავება - 5,6 ათასი ლარი.

3. 2. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 101,2 ათასი ლარი.

3.3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 308,8 ათასი ლარი.

**4. საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 447,3 ათასი ლარი.**

მათ შორის:

4.1 ბინათმშენებლობა - 8,0 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 56,1 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 190,8 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 192,4 ათასი ლარი.

**5 . განათლების დარგით გახარჯულია სულ - 1045,5 ათასილარი, აქედან:**

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 815,4 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 159,6 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 0 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -70,5 ათასი ლარი.

**6. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 742,5 ათასი ლარი.**

**7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 467,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

7.1. ჯანდაცვის პროგრამები -38,2 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 428,8 ათასი ლარი.

2021 წლის 03 იანვრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ სულ გაფორმებულია 84 ხელშეკრულება, მათ შორის:

- გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 53 ხელშკრულება, რომელთაგან 49 ხელშეკრულება გაფორმდა მონეტარული ზღვრის დაცვით, ხოლო 4 ხელშეკრულება გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთნხმებით გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვას;
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 9 ხელშეკრულება;
- ელექტრონული ტენდერით 22 ხელშერულება, მათ შორის 1 ხელშეკრულება გაფორმდა ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდრის საფუძველზე, ღირებულებით 20 000 ლარი (სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები).

გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს - 3 200 331 ლარს. კერძოდ:

- გამარტივებული შესყიდვის მეთოდით მონეტარული ზღვრის დაცვით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებაა 122 677 ლარი, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება კი შეადგენს 119 591 ლარს. *(აღნიშნული შესყიდვის საგანს წარმოადგენს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები არ შედგა და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სასწავლო პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით საჭირო გახდა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ხელშეკრულებების გაფორმება);*
- კონსოლიდირებული ტენდერით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 212 900 ლარს, მათ შორის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 145946,50 ლარს (აღნიშნული გაფორმდა 2021 წლის 18 აპრილს);
- ელექტრონული ტენდერით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 2 745 163 ლარს. მათ შორის 2 597 147 ლარი შეადგენს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებას, ხოლო 148 016 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის საქონელი და მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებას, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა.

შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია 45 ელექტრონული

- შეწყვეტილია 3 ტენდერი ღირებულებით 210 939 ლარი, რომელთაგან 2, განმეორებით გამოცხადდა და არის შერჩევა-შეფასების ეტაპზე, ხოლო 1 ტენდერი გამოცხადდება საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირების შემდეგ.
- არ შედგა 7 ტენდერი ღირებულებით 250 519 ლარი, რომელთაგან 5 გამოცხადდა განმეორებით 2-ზე კი მიმდინარეობს ბაზრის კვლევა;

- უარყოფითი შედეგით დასრულდა 2 ტენდერი, ღირებულებით 15246 ლარი (**პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტაცია და მოსაწოდებელი საქონლის ნიმუში**)
- ხელშეკრულება გაფორდა 21 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, ღირებულებით 2 725 163 ლარი;
- 1 ხელშეკრულება გაფორმდა ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, ღირებულებით 20 000 ლარი (სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები)
- მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 2 ელექტრონული ტენდერის შედეგების საფუძველზე, ღირებულებით 383 814 ლარი.
- შერჩევა-შეფასებას გადის 9 ტენდერი, ღირებულებით 835 110 ლარი.

***2021 წლის 03 იანვრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით გამოცხადებული ტენდერებით მიღებული ეკონომია შეადგენს 576 320 ლარს (3 301 483 (გამოცხ) – 2 725 163(დაკონტრ)), აღნიშნული ციფრი ცვალებადია და იცვლება ყოველი შერჩევა-შეფასების დასრულების შემდეგ.***

**ადგილობრივი მოსაკრებლის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები 2021 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათლით.**

ადგილობრივი მოსაკრებლის თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა. შემოვლის დროს ხდება;ახალი სუბიექტების გაფრთხილება, მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ, (მიუხედავად იმისა რომ კანონი ავალდებულებს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს საქმიანობის დაწყებისთანავე თავად მოგვმართონ),აგრეთვე მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტების გაფრთხილება და შემოსულ განცხადებებში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმება.

ყოველდღიურად ხორციელდება გადამხდელთა მიერ სახელმწიფო ხაზინაში, კოდზე 300213189-ზე შეტანილი მოსაკრებლის რაოდენობის ასახვა ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში არსებულ მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზაში.

პერიოდულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისა და ინდვიდუალური პირებისათვის დასახლებული ტერიტორის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა და დარიცხვა საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს #17 დადგენილების მიხედვით.

ყოველთვიურად ხდება მოსაკრებლების გადამხდელების ბაზის ანალიზი, რის შედეგადაც მზადდება მოხსენებით ბარათი გადამხდელების მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ .

ყოველთვიურად ხდება მოსაკრებლის გადამხდელთა ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, მათ მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობისა და გადახდის ვადების შესახებ.

ყოველთვიურად ხდება ცვლილებები დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზაში. სხვა და სხვა სუბიექტების ბაზაში დამატება, მოსაკრებლის დარიცხვა, შეჩერება, კორექტირება და ა.შ.

2021 წელს 30 აპრილის მდგომარეობით შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში მოსაკრებლების კუთხით შემოსულია სულ 23 განცხადება, მათ შორის;

ახალ გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ 11განცხადება.

მოსაკრებლის დარიცხვის შეჩერების შესახებ 8 განცხადება.

სხვადასხვა სახის 4 განცხადება.

აღნიშნულ განცხადებებზე მოხდა შესაბამისი რეაგირება . განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება კანონით დადგენილ ვადებში.

2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით მთლიან გადამხდელთა ბაზაში რეგისტრირებულია 709 სუბიექტი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში ჩვენი სამსახურის მიერ 2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით ამოღებული იქნა 48 574, 05ლარი.

*აზრი გამოთქვეს:* მამუკა ბიბილეიშვილმა, ტარიელ დვალიშვილმა, ემზარ შუბლაძე.

მამუკა ბიბილეიშვილი - ვინ არის ბუნებრივი რესურსების გადამხდელი. აპრილის თვეში რომ შემოვიდა თანხა ვინ შემოიტანა. მარტის თვეში ბუნებრივი რესურსებიდან შემოსულია 3,6 ათ. ლარი, ხოლო აპრილის თვეში 38,6 ათ. ლარი. რამ გამოიწვია ეს სხვაობა? რამდენი გადამხდელი გყავთ, ვის რამდენი თანხა შემოაქვს, არსებობს თუ არა რაიმე ბაზა, სადაც ფიქსირდება გადამხდელები. ეს ფაქტორი აუცილებელი ბიუჯეტში შემოსავლების დაგეგმისათვის. ბაზა გაცილებით დიდია ვიდრე ამ მუხლში შემოსული თანხებია. ამას უნდა კონტროლი და შესაბამისი რეაგირება.

დავით ბაღდავაძე - საფინანსო-სამსახურში არსებობს სპეციალისტი, ვინც კურირებს ამ საკითხს. რაც თქვენ გაინტერესებთ, წიაღისეულის შემოსავლები, მერია აძლევს ლიცენზიას. ჩვენ ვაგზავნით წერილებს ბუნებრივი წიაღისეულის მომხმარებელ და არ გადამხდელ ორგანიზაციებთან. მათ შორის არის ,,იმერეთი გრინერი''. წერილები დაგზავნილია და შესაბამისი რეაგირება განხორციელებულია.

დავით ბახტაძე - პირველ რიგში გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას საკრებულოს, თითოეული თქვენთაგანის და დამსწრე საზოგადოების მიმართ. აუცილებლად მინდა, რომ ასეთ საკითხზე, რომელიც საინტერესო და აქტუალურია მუნიციპალიტეტისათვის, მართალს ბრძანებთ, რომ პერიოდული კონტროლი ნამდვილად უნდა ხორციელდებოდეს ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლების შემოსავალაზე თუ სხვადასხვა შემოსულობებზე, რაც დაგეგმილია ბიუჯეტის მიხედვით. მე არ მეგონა თუ საკრებულოს სხდომაზე ეს ნაწილი ასეთი პოლემიკაში გადავიდოდა, ვინაიდან კომისიაზე უნდა ყოფილიყო განხილული, ასევე ბიუროზეც. მაგრამ რადგან ითქვა მინდა ავღნიშნო შემდეგი. უშუალო, ყოველდღიური შეხება საფინანსო ნაწილთან მე არ მაქვს, მაგრამ იმ ნაწილში რაზეც თქვენ ბრძანეთ, მოსაკრებელს რაც შეეხება მინდა გითხრათ, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ წიაღით სარგებლობის ნაწილში ,,იმერეთი გრინერის'' მიერ მოხმარებული წყლის რესურსის თანხის გადახდასთან დაკავშირებით. მივმართეთ შემოსავლების სამსახურს, უშუალოდ გადამხდელს ამ პროცესში შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ,,იმერეთი გრინერი'' არის ერთ-ერთი გადამხდელი,რომლის მიმართაც არსებობს პრეტენზიები მერიისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან. მას სერიოზული დავალიანება ერიცხება დღეის მდგომარეობით. რაც შეეხება მარტისა და აპრილის თვეებში გადახდილ თანხებს შორის სხვაობას ( 3,0 ათას ლარსა და 40,0 ათას ლარს შორის)

განპირობებულია იმით, რომ აპრილის თვეში მოგეხსენებათ, წიაღით სარგებლობისთვის დეკლარაციის წარდგენის ვადებია და შესაბამისად თანხაც გაცილებით ნაკლები შემოდის. დარწმუნებული ვარ ტექნიკურ უზუსტობას ქონდა ადგილი, თორემ საფინანსო სამსახურში გამოყოფილია სპეციალისტი და დღესაც ამის კონტროლი ხორციელდება. ჩემი კომპეტენციის ფარგლებში შევეცადე პასუხი გამეცა იმ დასმულ კითხვაზე რაც თქვენ ბრძანეთ.

მე თავის დროზე ინიციატორი ვიყავი ბალნეოლოგიური კურორტის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით, ვცდილობდი საკითხი აქტუალური ყოფილიყო. 4 წელია მაგ საკითხზე ვიბრძვით, რომ იქ წყალი იყოს გამოყენებული არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსაყვანად, არამედ მისი პირდაპირი დანიშნულებით, სამკურნალო-გამაჯანსაღებლად. ვინაიდან ამ წყალს გააჩნია უნიკალური სამკურნალო თვისებები. ეს არის დადგენილი 2002 წლის 5 ნოემბრის ჯანდაცვის მინისტრის N310 ბრძანებით. სამტრედიის მინერალური წყლის თვისებები განსაკუთრებით გამორჩეულია სხვა წყლებთან შედარებით. მიმაჩნია, რომ ერთობლივად, სამტრედიის მერიისა და საკრებულოს ძალისხმევით, რაღაც შედეგს მივაღწევთ. რათა ბოლოს და ბოლოს სამტრედიას დაუბრუნდეს კურორტი და ფუნქციონირება განაგრძოს ბალნეოლოგიურმა კურორტმა, რომელიც არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას გააუმჯობესებს, არამედ ადგილობრივ შემოსავლებს გაზრდის, ეკონომიკას გააჯანსაღებს და შესაბამისად აქედან გამომდინარე, მომიწია მე ამ პერიოდში აღნიშნულ წყალთან შეხება. ინიციატორი ვიყავი ამ საკითხის. ერთი თვის წინ ხელახლა მოვამზადე წერილები და გავგზავნე სამინისტროში, მათ შორის მოსაკრებლის ნაწილსაც შევეხე. ის ერთი გადამხდელი, რაც შემიძლია დაგისახელოთ არის „იმერეთი გრინერი". ინერტული მასალების კუთხით კიდევ ფიქსირდება რამოდენიმე გადამხდელი.

ტარიელ დვალიშვილი - აქ აღინიშნა, რომ წყალი ხმარდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანას, მაგრამ არავინ აღნიშნა ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში, დღე და ღამე, ძალიან დიდი რაოდენობის წყალი იღვრება, ჩაედინება უსარგებლოდ. უნიკალური მნიშვნელობის ჭაბურღილი ნადგურდება.

ემზარ შუბლაძე - თუ არ აღდგა კურორტი და არ ჩაიდო კერძო ინვესტიცია, საქმე არ გამოსწორდება. როგორც ვიცი კურორტი კერძო საკუთრებაა, მოსახლეობა თავისი გამოყენების მიზნით დღესაც სარგებლობს და მომავალშიც ისარგებლებს ამ უნიკალურ წყალს.

დავით ბახტაძე - ჭაბურღილის დებეტი იყო 3 მილიონი ლიტრი დღე ღამეში. ეს იყო იმ პერიოდში, როდესაც კურორტი ფუნქციონირებდა. „იმერეთი გრინერი"-მ მოიპოვა 2011 წლის 12 იანვრის ეკონომიკის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ლიცენზია 2036 წლის 12 იანვრამდე, 25 წლით. ეხლა მის სამართლებრივ საფუძვლებში, რაღაც პრობლემები არის. არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ასეთი უნიკალური წყალი მხოლოდ სასათბურე მეურნეობისთვის - ეს პრობლემაა.

ემზარ შუბლაძე - მინდა ავღნიშნო, რომ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის თემა, როდესაც სახელმწიფოს ჭირდება და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხია, ამ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოთ. მაგრამ მე ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ეს არასწორი ხელშეკრულება იყო. იქ შეიქმნა უამრავი სამუშაო ადგილი და დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა. თუმცა დღესაც შეიძლება ამის მოგვარება თუ ამ პრობლემის გადაჭრაში ჩაერთვება ეკონომიკის სამინისტრო. მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია, რომ იყოს ინვესტორი. თუ კურორტს არ

აღვადგენთ და მას არ ექნება ის დანიშნულება რაც ქონდა, წყალზე დავას აზრი არა აქვს. ეს საკრებულოს დონეზე ვერ გადაწყდება, უნდა ჩაერთოს სამინისტრო, სახელმწიფოს ხელშია ეს ბერკეტი. აქ თქვენი მხარდაჭერაა საჭირო.

დავით ბახტაძე - ნაწილობრივ გეთანხმებით მაგ კუთხით. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე რადიკალური ჩარევის და ცვლილების საშუალება სახელმწიფოს ნამდვილად გააჩნია, სწორედ მაგისთვის ვიბრძვით და იმ ნაწილში (ვგულისხმობ საფუძვლების კუთხის უზუსტობას) თუ ტექნიკურ დეტალებამდე ჩავალთ, ბრძანებით გაწერილი უნდა იყოს წყლის გამოყენების პირობები. მაგ წყალს ჭირდება სპეციფიური პირობა. წყალი ისევ ჭაბურღილთან სიახლოვეს უნდა იღვრებოდეს, რომ მოხდეს მისი კვლავ წარმოქმნის, კვლავ აღდგენის პროცესი. დღეის მდგომარეობით ეს ფუნქცია დაკარგულია არასწორი გამოყენების გამო. ჭაბურღილიდან თითქმის კილომეტრის დაშორებით მდინარეში იღვრება წყალი და უკან არ ბრუნდება. პირველი ხარვეზი წყლის გამოყენებაში არის სწორედ ეს. უპირველესი არის ის, რომ ასეთი თვისებების წყალი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოსაყვანად, ისე სამკურნალო-გამაჯანსაღებლადაც. საკითხიდან ცოტა გადავუხვიე, მაგრამ ავღნიშნავ, რომ ინვესტორი არანაირად არ არის დაიტერესებული მხოლოდ შენობა - ნაგებობების საკუთრებით, ვინაიდან მათთვის შეზღუდულია წყლის გამოყენების პირობები. სანამ წყლის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი არ დალაგდება ინვესტორის მოძიებას აზრი არა აქვს.

რაც შეეხება შემოსავლების კუთხით გადასახადებს, არ ვიცი პასუხი რატომ ვერ მიიღეთ, მაგრამ 2014 წლიდან 2017 წლის შემოდგომის მდგომარეობით, ყოველთიურად მქონდა მონაცემები და წესით და რიგით არ უნდა ყოფილიყო პრობლემა თქვენთვის მოწოდებაზე.

ნუგზარ ჯამბურია - როგორც ირკვევა, აღნიშნულ მოთხოვნას არ ჭირდება არც წერილი და რაიმე სახის მიმართვა და მარტო საუბარი შველის. აქ ბრძანდებიან საფინანსო-სამსახურის უფროსი და მერის მოადგილე. ხომ შეიძლება შეხვედრა. ამ დარბაზში რამდენჯერ იყო მიმართვა თქვენს მიმართ, მოდით დავჯდეთ, ვისაუბროთ და გავარკვიოთ ნებისმიერი პრობლემა. თქვენი დამოკიდებულება კოლეგებისა და ქალბატონების მიმართ არ მიმაჩნია მისაღებად და მართებულად. კიდევ ერთხელ გადავდგათ ნაბიჯი და საკითხის ირგვლივ მივიღოთ სწორი და კანონიერი გადაწყვეტილებები.

დავით ბაღდავაძე - როდესაც მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება და განიხილება საკრებულოს სხდომაზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ყოველთვის წინააღმდეგები ხართ არსებული ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე და ზოგჯერ სხდომას ტოვებთ პროტესტის ნიშნად.

აკაკი მინაშვილი - მაინტერესებს აუქციონებთან დაკავშირებით, აუქციონზე გასატანი ქონების თაობაზე, შეფასებასთან დაკავშირებით, ხომ არა არის თქვენი სამსახურიდან ან მერიის რომელიმე სამსახურიდან ჩართულობა.

დავით ბაღდავაძემ უპასუხა, რომ ქონების შეფასებას ახდენს აუდიტის სამსახური, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

აკაკი მინაშვილი - ეს საკითხი იმიტომ დავსვი, რომ არის ისეთი საკითხები, კერძოდ შენობების შეფასება მაქვს მხედველობაში, რომელსაც თბილისიდან ჩამოსული აუდიტი ისე

ვერ განსაზღვრავს, როგორც ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენელი, მაგალითად ბატონი ზურაბ გოგია და მისი სამსახური. ტოლებში არსებობს სამუსიკო სკოლა, ორ სართულიანი და დანგრევას ექვემდებარება. შეფასებულია ქონება და 5800 ლარია საწყისი ფასი. სამჯერ 5800 ლარი მარტო ჯართი ამოვა ამ შენობიდან.

დავით ბახტაძემ განმარტა - ნამდვილად არის ჩართულობა მერიის სამსახურებიდან, კერძოდ, ეკონომიკის და ქონების სამსახური. თუ ქონება გამოყენებისთვის უვარგისია, შესაბამისი საექსპერტო დასკვნა იდება მოწვეული ექსპერტის მიერ. ხშირ შემთხვევაში, ვინაიდან ნდობის ხარისხი მაღალი აქვს, მუნიციპალიტეტი მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს. შესაბამისად ქონების განკარგვის კომისიაზე ხდება თითოეული ქონების ჩამონათვალის მიხედვით ვიზუალური მდგომარეობის განხილვა და ამის შემდგომ იგზავნება საკრებულოში განსახილველად. საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მისცეს თუ არა მერს თანხმობა, ქონების შემდგომი აუქციონის წესით, იჯარით ან პირდაპირი განკარგვის წესით გასხვისებაზე. ვერ ვიტყვი რომ რომელიმე ეტაპზე მერია რაიმე სახით არ არის ჩართული ქონების გასხვისების საქმეში. რაც შეეხება ფასის განსაზღვრის ცოდნას, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ნდობის ხარისხი არ არის დაბალი. იქ ცნობილი და გამოცდილი ექსპერტები მუშაობენ. საწყის საპრივატიზაციო ფასში გათვალისწინებულია ის დანახარჯები, რა დანახარჯებიც სავარაუდოდ უნდა გაწიოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა შენობის დემონტაჟისთვის, ნარჩენების გატანის და მოსუფთავებისთვის. ეს არის საწყისი ფასი, რომელიც აუქციონის ჩატარების დროს იზრდება. შეფასების დროს არსებობს სტანდარტები, რომელსაც ითვალისწინებს აუდიტორი. ისინი თავისი საქმის პროფესიონალები და კომპეტენტური პირები არიან. პასუხს აგებენ პირადად მისი ხელმოწერით მომზადებულ აუდიტორულ დასკვნაზე.

ზურაბ გოგია - სამხარაულის ბიურო დასკვნას აკეთებს ზოგადად შენობის მდგრადობაზე, რამდენად მდგრადი იქნება შენობა შემდგომი გამოყენებისთვის. მაგრამ განფასებას აკეთებს აუდიტი. ვინაიდან აღნიშნულ ადგილზე შენდება საზოგადოებრივი ცენტრი, მივმართეთ დასაზუსტებლად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, რამდენად შეიძლება მისთვის გამაგრებითი სამუშაოების შესრულება და რამდენად შეიძლება მისი დანგრევა. პირდაპირ მოგვწერეს დასკვნაში, რომ გამაგრებითი სამუშაოების ხარჯები აცდება დანგრევის ხარჯებს. ამიტომ მიეიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ჩვენ განფასებაში მონაწილეობა არ მიგვიღია. დასკვნის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი პროექტი.

რეგიონაური განვითარების ფონდით გამოყოფილი იყო 7000 ლარი, მაგრამ სამხარაულის დასკვნის საფუძველზე ჩვენ ვერ შევედით შენობის შიგნით რემონტის გასაკეთებლად.

*დაადგინეს:* ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

***დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ზურაბ გოგიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა წარმოადგინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით გაწეული სამუშაოების ანგარიში. კერძოდ,

1. 2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ

   (საქართველოს მთავრობის N538. 07.04.2021 განკარგულება) განხორციელდა 29 პროექტი, რომელიც მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურას, კერძოდ ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის გზების მოწყობა. სამუშაოებისათვის გამოიყო 3 146 254 ათასი ლარი, აქედან 2 961 932 დაფინანსდა რგფ-ს მიერ, ხოლო 184 322 ლარი ადგ. ბიუჯეტიდან.

   დღეის მდგომარეობით დასრულებულია 16 პროექტი, დაფინანსებულია - 1 119 519 ლარით, დანარჩენ პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები.

2. სოფლის განვითარების პროგრამით 2021 წელს უნდა განხორციელდეს 78 პროექტი პროექტები დაფინანსდება 880 000 ლარით , მათ შორის 660000 სახ. ბიუჯეტიდან, ხოლო 220 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციებზე მუშაობა.
3. რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ პროექტებს მიმდინარე წელს ამ დროისათვის ხორციელდება 10 პროექტი, აქედან 4-ზე მიმდინარეობს სამუშაოები, ხოლო დანარჩენზე შერჩევა-შეფასების პროცესია. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1 086 083 ლარს.

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური თავის თავში მოიცავს 7 მიმართულებას, მათ შორის ერთი განყოფილება - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. სამსახურში დასაქმებულია 9 თანამშრომელი (სამსახურსი უფროსი, განყოფილების უფროსი და 7 სპეციალისტი).

სპეციალისტები თავის კომპეტენციის მიხედვით გადანაწილებულია ცალკეულ მიმართულებებზე სამუშაოდ, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მათზე დაკისრებული დავალებების შესრულებას.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნეობის გზების, ხიდების, გარე განათებების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომუნიკაციების განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას და შესაბამისი ელ. ვერსიების დამუშავებას.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოების პროცესში ინფრასტრუქტურის სამსახური მთლიანადაა ჩართული. აღნიშნულ სამუშაოებზე საპროექტო წინანდადებების შემუშავებისა და საორიენტაციო ღირებულებების დადგენის შემდეგ ხდება თითოეული პროექტის მომზადება საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მათი მოწონების მიზნით. მოწონებული პროექტების დაფინანსება კი ხდება საკონსულტაციო საბჭოზე განხილვის შემდეგ. სამსახური სამუშაოების დაწყების დღიდანვე აქტიურადაა ჩართული სამუშაოების პროცესში. ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა სამუშაოების პროცესზე დაკვირვება და საჭირო შემთხვევაში მონაწილეობდა პროექტების კორექტირებების განხილვაში (სატენდერო კომისიის წევრები).

სამსახური ახორციელებს ესკიზური ნახაზების დამზადებას, ყველა მიმდინარე რგფ-ისა და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შემოწმება და კონტროლს, ჩვენი თანამშრომლები არის ინსპექტირების ჯგუფის წევრები, ასევე სხვადასხვა მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიის წევრები. ვიხილავთ ფიზიკური პირების განცხადებებს. ხდება ავარიული საცხოვრებელი სახლების ასევე საზოგადოებრივი ობიექტების ვიზუალური დათვალიერება და შესაბამისი დეფექტური აქტების შედგენა. 2021 წელს ინფრასტრუქტურის სამსახურს დაეწერა 3500-ამდე კორესპოდენცია, რომლის 45%-ზე მოვახდინეთ რეაგირება.

2021 წლის განვლილ პერიოდში შემოვიდა ადგილობრივი თვითმართველობის მიერ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების 28 **მშენებლობის** ნებართვა. ყოველი პროექტის შემოსვლის შემდეგ მიმდინარეობს ამ პროექტებთან დაკავშირებული სამუშაოები, კერძოდ: მფლობელისათვის განმარტებების მიცემა მშენებლობის სანებართვო პირობების დაცვაზე და მათ შესრულებაზე, სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით საჯარიმო სანქციებზე, მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით სამშენებლო ეტაპებზე განცხადების დაწერა და შესაბამისად მიმდინარე მშენებლობების ეტაპების (რამოდენიმეჯერ) დათვალიერება და კონტროლი ადგილზე გასვლით, სამშენებლო სამუშაოების წარმართვა ნებართვით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დარღვევით მიმდინარე მშენებლობების შეჩერება, პროექტში აუცილებლობის შემთხვევაში ცვლილებების შეტანა (ახალი პროექტი) კანონმდებლობის შესაბამისად, დამთავრებული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღება.

2021 წლის ამ პერიოდისათვის **ექსპლოატაციაში მიღებულია 8** სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, ასევე მიღებული, დამუშავებული, დათვალიერებული და პასუხი არის გაცემული მოქალაქეების 38 წერილზე. კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა 1 – მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმება, განხორციელდა რამდენიმე უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის შეჩერება და გონივრულ ვადა მიეცა დოკუმენტაციის წარმოსადგენად. მიმდინარეობს ქ. სამტრედიაში გასული საუკუნის 60-70-80-იან წლებში აშენებულ მრავალსართულიანი საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის წერილობითი ინფორმირება-

გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ 90-იან წლებიდან მრავალსართულიანი საცხოვრებელ სახლებზე დაწყებული სტიქიური მიშენებები და ასევე აივნებზე განხორციელებული ამოშენებები, რომლებიც არ ექვემდებარება საამშენებლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, არის საფრთხის შემცველი და მიეცათ რეკომენდაცია არ გამოიყენონ არსებული, როგორც მიშენებული, ასევე აივნებზე ამოშენებული ფართი როგორც საცხოვრისად, ასევე სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის, ასევე, რომ აკრძალულია ნებისმიერი სახის მშენებლობა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე. ზედამხედველობას უწევს ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სხვადასხვა სახის საგზაო სამუშაოებს (გაზის კომპანია, გაერთიანებული წყლის კომპანია), რათა სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდეს დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

სამსახური მონაწილეობას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერიის სხვა სამსახურებთან ერთად, ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებებში (გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხები, დასუფთავების სამსახურთან ერთად ქალაქის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში მოქალაქეების მიერ დასუფთავების წესების დარღვევის წინააღმდეგ).

გარდა ამისა სამსახური მონაწილეობას ღებულობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო გადაზიდვებზე ზედამხედველობა საქალაქო და საგარეუბნო მარშრუტებზე. მოსახლეობის განცხადებებში მითითებული მგზავრთა გადაზიდვების დროს წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და მათია ღმოსაფხვრელად შესაბამისი რეაგირება.

ბაზრის პერიმეტრზე საპატრულო პოლიციასთან ერთად მოხდა საგზაო ნიშნების განახლება და ახალი ნიშნების დამატება არსებული სიტუაციების შესაბამისად. „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით მიმდინარეობ სკოლის მოსწავლეთა მომსახურეობა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან დელეგირებული უფლებამოსილებით ხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი 23 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომსახურეობაზე.

*აზრი გამოთქვეს:* ალექსანდრე ჯვარშეიშვილმა, ნუგზარ ჯამბურიამ, გიორგი ლეჟავამ, ბადრი შენგელიამ.

ალექსანდრე ჯვარშეიშვილი - „მოგეხსენებათ, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშში, წლების უკან წარმატებით ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ამ წარმატების საფუძველზე იქ ემატებოდა სხვადასხვა დარგები, რამაც გამოიწვია საკანალიზაციო სისტემის მოწყობის აუცილებლობა. საკანალიზაციო სისტემის ქსელმა გამოიარა ჯიხაიშის და იანეთის ტერიტორია და შეუერთდა მდინარე გუბისწყალს. მდინარესთან ფუნქციონირებდა გამწმენდი ნაგებობა, რომელიც დაინგრა 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში და საკანალიზაციო სისტემიდან ფეკალური მასა ღია სახით ჩაედინება მდინარეში. იქვე 100-150 მეტრში ბანაობს ბავშვები, თევზაობს ხალხი. ასეთი სიტუაცია იყო მთელი ამ წლების განმავლობაში. თითქოსდა ყველა რაღაცნაირად თვალს ვხუჭავდით ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეხლა ვაის დაემატა უი. შუა სოფელში ამოხეთქა ამ კანალიზაციის სისტემამ. ადრე გაიწმინდა და შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა, ეხლა ისევ რთული მდგომარეობაა. ეს ძირითადად მოსახლეობის უდიერი დამოკიდებულების ბრალია. ამოდის ერთი ჭიდან ეს ფეკალური მასა და ჩაედინება მეორე ჭაში. პირველსა და მეორეს შორის 40 მეტრია დაშორება. იქვე არის სკოლა, ბავშვები და მოსახლეობა. როგორც ვიცი საკანალიზაციო სისტემა ტექნიკუმის ბალანსზეა. მოიძებნოს რაიმე საშუალება, რომ გაიწმინდოს ან დაიხუროს სისტემა. ვთვლი, რომ მოსახლეობის საკანალიზაციო სისტემა არ უნდა იყოს დაერთებული ცენტრალურ სისტემაზე. ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს პანდემიის გავრცელების საშიშროებას".

ნუგზარ ჯამბურია - მესმის თქვენი გასაჭირი და მოსახლეობის წუხილი. არ ჩამომართვათ სხვაგვარად, ის რაც ახლა, ამჟამად არსებობს გამოწვეულია მოსახლეობის დაუდევრობის გამო თუ ა.შ. როგორც აღნიშნეთ ეს პრობლემა დაიწყო 90-იანი წლებიდან, პროცესი თანდათან ღრმავდებოდა, ერთი რამ ძალიან მაინტერესებს, მინდა გულწრფელად გამიგოთ, როდესაც თქვენ ხელისუფლებაში ბრძანდებოდით ეს პრობლემები მაშინ არ არსებობდა? რაიმე ტიპის სამუშაოები ჩატარდა?

აღნიშნულმა შეკითხვამ გამოწვეია კამათი და დებატები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

ზურაბა გოგიამ განმარტა - ეს საკითხი აქტიურია დიდი ხანია. ამ პრობლემის მოგვარება დაკავშირებულია უდიდეს თანხებთან. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, (საუბარია სამ მუნიციპალიტეტზე: სამტრედია, ბაღდათი, ვანი) საკანალიზაციო ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მუშაობდა გერმანული კომპანია, უკვე პროექტი იყო დასრულების სტადიაზე, დაახლოებით გამოყოფილი იყო 150 მილიონამდე, (აქედან სამტრედიაში იყო თანხის დაახლოებით 80% გავალისწინებული) არ ვიცი პანდემიამ იმოქმედა თუ არა, მაგრამ შეჩერდა ეს საკითხი.

გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაც ფინანსური პრობლემაა. უნდა დაიწეროს განცხადება მოსახლეობის ან წარმომადგენლის სახელით, წამოვიდეს წინადადება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, თუმცა ავღნიშნავ, რომ მერია არ აკეთებს გაწმენდით სამუშაოებს. ჩვენ მივმართავთ წყალ-კანალს თხოვნის სახით და იქნებ მოვაგვაროთ ეს პრობლემა.

დავით ბახტაძე - საკითხს უნდა შესწავლა, შეიძლება წერტილოვანი პრობლემაა და მოგვარებადია. ფაქტიურად მოვლა-პატრონობას არც ერთი უწყება არ უზრუნველყოფს. არარეგისტრირებული ნებისმიერი ქონება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის შექმნილი, არის ავტომატურად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. მაგრამ ამის პერიოდულ მოვლა-შენახვა-პატრონობას უნდა ახორციელებდეს რომელიმე უწყება. რამოდენიმე ათეული წელია ეს უყურადღებოდაა, და დღეს დრეობითაც ამ ქსელს მოვლა-პატრონობა არ ახორციელებს არავინ. ჩვენ მუნიციპალიტეტი მოკლებული ვართ მოვლა-პატრონობის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ ყურადღებაა მისაქცევი, რათა კიდევ უფრო მასშტაბური პრობლემა არ გამოიწვიოს. და ის მიდგომა, რაც ბატონმა ნუგზარმა გულწრფელად ბრძანა, რომ იქნება მუნიციპალიტეტიდან იყო რამე აქტივობები განხორციელებული ამ ქსელის მოვლა-პატრონობის მიმართ, სრულებით არ არის რეალობას მოკლებული. მაჟორიტარმა დეპუტატმა ან მერის წარმომადგენელმა მერიას მომართოს წერილობით, ამის შემდეგ ჩვენ ვთხოვთ, წყალ-კანალის ხელმძღვანელობას მისი ზემდგომი ჩააყენოს საქმის კურსში. გრძლევადიან პროექტს რაც შეეხება10 მილიონი ლარი 2021 წლის სახლმწიფო ბიუჯეტის შესახებ, კანონში გაწერილია წლევანდელ წელს, ვანის, ბაღდათის სამტრედიისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტიებისთვის. ამ პერიოდში წინა სამი წლის განმავლობაში ჩამოდიოდა სხვადასხვა მკვლევარები, ხორციელდებოდა წინა საპროექტო მრავალპროფილური კვლევა. ეს კვლევა დასრულებულია. რაც შეეხება პროექტის დამზადებას, მიმდინარე წელს ხელი შეუშალა პანდემიის პიროებებმა, ვიანიდან საპროექტო ორგანიზაციები უცხოელები არიან, საპროექტო კვლევის ავტორებიც უცხოელები არიან. მათ შორის მიმოსვლის შეზღუდვამ ეს განაპირობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის წინასაპროექტო კვლევით 2020 წლიდან 2040 წლამდე, საორიენტაციოდ გათვლილია 124 მილიონი ევროს დახარჯვა. წყლის, კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისათვის, ასევე კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის. ვიმედოვნებ, რომ იანეთის შემთხვევაში წერტილოვანი პრობლემაა და არ იქნება რთული გადასაჭრელი.

გიორგი ლეჟავა - ეს პრობლემა მოგვარდება მაშინ, როდესაც ტექნიკუმში დამთავრდება რემონტი, იქ დაიკეტება და გაუქმდება საკანალიზაციო სისტემა. კეთდება ძალიან დიდი საკანალიოზაციო ჭა, რომელზეც დამონტაჟდება ლტოლვილების შენობის და კოლეჯის საკანალიზაციო სისტემა. შესაბამისად გაუქმდება იანეთისკენ მომავალი სისტემა და პრობლემაც არ იქნება. ყოველივე აღნიშნული იგეგმება წლის ბოლოსათვის.

ბადრი შენგელია - ბევრი საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, მაგრამ რატომღაც არავინ არ ახსენა, რომ სამტრედიას არა აქვს სპორტის სასახლე. ხშირად დავდივარ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში სპორტულ შეჯიბრებებზე. თითქმის ყველას აქვს სპორტული ღონისძიებების

ჩასატარებელი კარგი სპორტის სასახლე. რატომღაც სამტრედიაში არც წინა ხელისუფლების დროს გაკეთდა და არც ეხლა უჩანს პირი. გასათვალისწინებელია და ყურადღებაა მისაქცევი.

დავით ამაღლობელი - ბატონო ზურაბ, თქვენს ანგარიშში საუბარია ტრანსპორტით უსაფრთხო გადაზიდვებზე. ამასთან დაკავშირებით, როგორც ვიცი ორი კომპანია, ერთი- შ.პ.ს. ,,მოგზაური" და მეორე - ალიკო ოდილავაძის კომპანია (შიდა საქალაქო) ახორციელებს გადაზიდვებს. მინდა ჩემი აზრი მოგახსენოთ, კერძოდ, დიდი ზრდაა საწვავის ფასებთან დაკავშირებით და შესაბამისად მიდის მგზავრობის საფასურის თვითნებური ზრდა მგზავრთა გადაყვანაზე. როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ყველა სპორტული სექცია ძირითადად ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს. მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ სპორტულ სექციებში გაერთიანებული არის ბავშვები სოფლიდან. სასურველი იქნება ბავშვთა გადაყვანა სოფლიდან ქალაქის მიმართულებით მოხდეს უფასოდ. ვიცი რომ პრობლემა რთულია, მაგრამ მოგვარებადი არის. ასევე მინდა ავღნიშნო რომ მოსაგვარებელია საგზაო ნიშნების საქმე. ქალაქი საკმაოდ გადატვირთულია, ტრანსპორტი გაჩერებულია სავალი გზის ორივე მხარეს, გაჩერება უჭირს სამარშრუტო ტაქსებს, ტრანსპორტით გადაადგილება ძალიან რთულია. საკითხი საპატრულო პოლიციის წინაშე, რომ დაისვას მე მგონი ცუდი არ იქნება.

დავით ბახტაძე - 2005 წელს არის ჩატარებული ტენდერი, მაშინ გამარჯვებულად გამოვლინდა ა ეს ორი იურიდიული პირი. რაც შეეხება მიმდინარე პერიოდში სამართლებრივ საფუძველბს, ასე მარტივად სატრანსპორტო რეგულაციების შემოღება შესაძლებელია თვითმმართველი ქალაქებისთვის, რაც შეეხება სხვა თვითმმართველ ერთეულებს, როგორებიც ჩვენ ვართ, აქ გარკვეულწილად თვითმმართველობის ჩართულობა რთულია ამ საკითხის დარეგულირებაში. თხოვნის დონეზე მოწვეული იყვნენ კომპანიის ხელმძღვანელები და შესაძლებლობის ფარგლებში მოუწოდეთ შესაძლებლობის ფარგლებში დაერეგულირებინათ ფასები.

მანანა სირბილაძე - კანონში შევიდა ცვლილება, ლიცენზირება უნდა გასცეს მერიამ. ამ ლიცენზირების შემდეგ, უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა და კონტროლს ექვემდებარება მერიიდან არსებული სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით.

ზურაბ გოგია - რაც შეეხება საგზაო ნიშნებს პირადად მე მქონდა შეხება საპატრულო პოლიციის სამსახურთან. ერთად ერთი ეს გაკეთდა სააკაძის ქუჩაზე და ბათუ კრავეიშვილის ქუჩაზე. ჭანტურიას ქუჩაზე აიკრძალა და არის ცალმხრივი მოძრაობა. საპარკინგე ადგილი ეს არა მარტო სამტრედიის, არამედ თითქმის ყვლა მუნიციპალიტეტისათვის პრობლემაა. ვერ გაივლი ჭავჭავაძის, რუსთაველის, ქუჩებზე და ასევე ბაზართან. აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამუშაო ნამდვილად არის და რაღაც აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ.

დავით ბახტაძე - საკითხის ირგვლივ უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტმაც. მიმაჩნია, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა გასწიოს ხარჯი და თუ სადმე საკარმიდამო ნაკვეთი იყიდება, შესაძლებელია გამოისყიდოს და გაკეთდეს ფასიანი ავტო-სადგომი მათთვის ხელსაყრელ ფასად, იმ მანქანებისთვის, რომლებიც დღის განმავლობაში 6-8 საათი დგებიან,

გიორგი ლეჟავა - დამკვიდრდა ძალიან კარგი პრაქტიკა - მერიის შესაბამისი სამსახურები ანგარიშით წარსდგებიან საკრებულოს წინაშე. ხშირად გამიგონია კოლეგებისაგან კომუნიკაციის პრობლემებთან დაკავშირებით. პირადად მე, მერიის სამსახურთან მსგავსი პრობლემა არასოდეს არ მოქონია და ერთგვარი კმაყოფილების გრძნობაც გამაჩნია და არა თვითკმაყოფილების. საკითხი ეხება იმ გარემოებას, რომ დიდ ჯიხაიშში 2019 წელს დაიგო 4 კმ ასფალტო-ბეტონის საფარი. 2020 წელს - 8 კილომეტრი, როცა წინა წლებში ერთი კილომეტრიც არ დაგებულა. 2021 წელს იგეგმება და ა. შ. ეს ვერ მოხდება ერთბაშად, ვცდილობ ადამიანებს ავუხსნა და ისინიც გაგებით ეკიდებიან ამ საკითხს. მადლობას ვუხდი აღნიშნულ სამსახურს. ვიცი, როგორ მუხლ ჩაუხრელად შრომობს ბატონი ზურაბ გოგიას ხელმძღვანელობით მისი სამსახური. სულ რომ მთელი ჯიხაიში მოასფალტდეს 38 კილომეტრი უნდა დაიგოს, ეს ძალიან დიდი სამუშაოებია და ერთ წელიწადში ვერ მოხერხდება. პრიორიტეტები გვქონდა გზის დაგების დროს, ეს არის სოფლებთან სოფლის კავშირი. ეწერთან ორმხრივი კავშირი

მოწესრიგებულია და დამაკავშირებელი გზა მოასფალტებულია, გუბი- ხონის მიმართულებით დამაკავშირებელი გზა მოასფალტებულია, გოჩა ჯიხაიში-იანეთთან იყო ასფალტი და რჩება სოფელ ჭაგანთან დამაკავშირებელი გზა. რაც შეეხება პრაქტიკას, მერიის სამსახურების ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით, უნდა გაგრძელდეს აუცილებლად.

ნუგზარ ჯამბურია - მინდა დარბაზში კოლეგებმა ყურადღება გაამახვილონ და წარსული აღიდგინონ, როცა ამბობენ იმ თემის შესახებ, რომ პირველად ხედავენ დარბაზში მერიის წარმომადგენელს და აცხადებენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, მინდა იყვნენ ობიექტურები, იყვნენ ისეთები, როგორც პოლიტიკას შეესაბამება, ფაქტები შეაფასონ რეალურად, იყოს პოლემიკა, კამათი და ურთიერთობა ისეთი, როგორიც მისაღებია. ნებისმიერი საკითხი შეიძლება გადაიჭრას, რომელსაც აქვს კეთილი განზრახვა. სულ რამდენიმე ხანი და მე-4 მოწვევის საკრებულო თავის უფლებამოსილებას შეასრულებს და მე-5 მოწვევის საკრებულო შეიკრიბება. ნამდვილად არ მინდა, რომ ახალი მოწვევის საკრებულოში იყოს ისეთი დამოკიდებულება, რომელსაც თუნდაც რაღაც ეტაპზე, გარკვეული დროის განმავლობაში ამ საკრებულოში ქონდა ადგილი. წესიერება, პატიოსნება და განსაკუთრებით ქალბატონების მიმართ დამოკიდებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე ამას რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებდი. წარმატებას ვუსურვებ არა მარტო აქ წარმოდგენილ სამსახურის უფროსებს, არამედ მთელი თავისი შემოქმედებით კოლექტივს. მუშაობის პროცესები და ეტაპები შეიძლება ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად თუმცაღა შესაძლებელია იმ ნიუანსების გათვალისწინება, რომლებიც დღეს ამ საკრებულოს სხდომაზე წარმოიშვა. კიდევ მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ მე, სანამ საკრებულოს თავმჯდომარე ვიქნები, ქართველი კაცის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ქალების მიმართ ვერ შევეგუები, ორ მოჩხუბარს შორის ჩაგდებული მანდილი შესარიგებელ ტონისკენ მოუწოდებდა და არა მგონია ბატონებო, რომ დღევანდელი საქციელი ოპოზიციის წარმომადგენლებისა იყო სწორი. ჩვენ ყველას ერთად გვაქვს საფიქრებელი - ხვალინდელი დღის მომავალისთვის. წინა საკრებულოს სხდომაზე ვთქვი, რომ არა ჩვენი შვილების, არამედ ჩვენი შვილიშვილების თვალებით უნდა შევხედოთ ჩვენს ქვეყანას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონ დავით ბახტაძეს მობრძანებისთვის.

*დაადგინეს:* ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2021 წლის 1 იანვრიდან მაისამდე გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

*სამტრედიის მუნიციპალიტეტის*
*საკრებულოს თავმჯდომარე:* *ნუგზარ ჯამბურია.*

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის**

**IV მოწვევის საკრებულოს**

**სხდომის**

**ო ქ მ ი №6**

შედგება 28 / ოცდარვა / ფურცლისგან

*სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* *ნუგზარ ჯამბურ*

*2021 წელი*